

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 245 (7306)

23 1982 წ. დეკემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# სსრ კავშირის 60 წელი

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის მოხსენება

**ძვირფასო ამხანაგებო!**

პატივცემულო სტუმრებო!

60 წლის წინათ ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციით განთავისუფლებული ჩვენი ქვეყნის ხალხები ნებაყოფლობით გაერთიანდნენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად. (ტაში).

პირველი, საბჭოთა რესპუბლიკების გამაერთიანებელი ყრილობის მუშაობის დასასრულს, რომელმაც სსრ კავშირის შექმნა გამოაცხადა, მ. ი. კალინინმა თქვა: „მთელი ათასწლეულებია, კაცობრიობის საუკეთესო წარმომადგენლები თავს იტეხენ თეორიულ პრობლემაზე, რათა მიაგნონ ფორმებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა ხალხებს თავიდან აეცილებინათ უდიდესი ტანჯვა, ერთმანეთთან ბრძოლა და მეგობრულად, ძმურად ეცხოვრათ. მხოლოდ ახლა, დღევანდელ დღეს, პრაქტიკულად პირველი ქვა ჩაიდო ამ ძმობის საძირკველში". (ტაში).

კაპიტალიზმის განვითარებას არ მოჰყოლია ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია. პირიქით, ეროვნულ ჩაგვრას დაემატა კოლონიური, რომელმაც კიდევ უფრო გაამწვავა იგი. ერთმა მუჭა კაპიტალისტურმა სახელმწიფოებმა ასმილიონობით ადამიანი დაიმონეს და წილ-ხვედრად არგუნეს სილატაკე, გადაუკეტეს პროგრესის გზა.

მარქსიზმმა პირველმა გამოავლინა ეროვნული საკითხისა და საზოგადოების სოციალური, კლასობრივი სტრუქტურის, საკუთრების გაბატონებული ტიპის ორგანული კავშირი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეროვნულ ურთიერთობას სოციალურ ნიადაგში აქვს გადგმული ფესვი. აი, რატომ იყო, რომ მარქსმა და ენგელსმა გამოიტანეს ფუნდამენტური დასკვნა: სოციალური ჩაგვრის მოსპობა ეროვნული ჩაგვრის მოსპობის პირობა და წანამძღვარია. „...ბურჟუაზიაზე პროლეტარიატის გამარჯვება, — თქვა მარქსმა, — ამავე დროს ყველა ჩაგრული ერის განთავისუფლების სიგნალიც არის". მარქსიზმის ფუძემდებელთა მიერ გამოცხადებული უკვდავი ლოზუნგი — „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" — გახდა მოწოდება მშრომელთა ინტერნაციონალური ბრძოლისა ყველა ფორმის დამონების — როგორც სოციალური, ისე ეროვნული დამონების წინააღმდეგ. (ტაში).

ახალ ისტორიულ პირობებში კ. მარქსისა და ფ. ენგელსის საქმე განაგრძო ვ. ი. ლენინმა. იგი მაშინ ჩაუდგა სათავეში რევოლუციურ მოძრაობას, როცა რუსეთის ცა რევოლუციურმა დაფიონმა გაანათა. ქვეყანაში, რომელსაც სამართლიანად უწოდებდნენ „ხალხთა საპყრობილეს", ეროვნული საკითხი, ბუნებრივია, ერთ-ერთ პირველ ადგილზე დადგა ბოლშევიკთა პარტიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისას.

ლენინის ყურადღების ცენტრში იყო ერების თვითგამორკვევის უფლება როგორც მათი ნამდვილი, მტკიცე დაახლოების უზრუნველყოფის ერთადერთი საიმედო საშუალება. მხოლოდ თვითგამორკვევის უფლება შეიძლებოდა ყოფილიყო ცარიზმის დასამხობად, ახალი საზოგადოების შესაქმნელად ბრძოლაში ყველა ერის ნებაყოფლობითი შეკავშირების იდეურ-პოლიტიკური საფუძველი. ასე აყენებდა საკითხს ლენინი. ასეთი გახლდათ ლენინური ეროვნული პოლიტიკის ღერძი. (ტაში).

ოქტომბრის რევოლუციამ პოლიტიკური ლოზუნგები და მოთხოვნები ყოველდღიური ორგანიზატორული მუშაობის სიბრტყეში გადაიტანა. თვით ცხოვრება, უძნელესი ეკონომიკური, სოციალური, საგარეო-პოლიტიკური, თავდაცვითი ამოცანები გვიკარნახებდა ხალხების შეკავშირების, იმ რესპუბლიკების გაერთიანების საჭიროებას, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე რომ აღმოცენდნენ.

ის, რაც დღეს ცხადად მოჩანს, სულაც არ იყო ცხადი იმ ბობოქარ, გარდამავალ დროს! კონკრეტული სახელმწიფო ფორმების, იმ პოლიტიკური ინსტიტუტების ძიება, რომლებშიც უნდა შეესხათ ხორცი ეროვნული პროგრამის ზოგად იდეებსა და წანამძღვრებს, ცხარე დავაში მიმდინარეობდა. ერთმანეთს ეჯახებოდა სულ სხვადასხვა აზრი — კონფედერაციის ფარგლებში რესპუბლიკების უილაჯო, ამორფული გაერთიანების პროგრამით დაწყებული და იმ მოთხოვნით დამთავრებული, რომ ისინი რუსეთის სფს რესპუბლიკის შემადგენლობაში შესულიყვნენ ავტონომიის საწყისებით. საჭირო გახდა ვ. ი. ლენინის გენია და ავტორიტეტი, რათა გამოგვენახა და დაგვეცვა ერთადერთი სწორი გზა — სოციალისტური ფედერალიზმის გზა.

რა არის ლენინის მიერ ნაჩვენები გზის არსი? მოკლედ იგი ასე შეიძლება გამოიხატოს: ეს არის თავისუფალ ხალხთა კავშირის სრული ნებაყოფლობა, როგორც სოციალისტური რესპუბლიკების ფედერაციის მაქსიმალური სიმტკიცის გარანტია. ეს არის ყველა ერისა და ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობა, მათი არა მარტო იურიდიული, არამედ აგრეთვე ფაქტობრივი უთანასწორობის ლიკვიდაციის თანამიმდევრული გეზი. ეს არის ყოველი რესპუბლიკის, თითოეული ეროვნების თავისუფალი განვითარება მათი ძმური კავშირის ფარგლებში. ეს არის ინტერნაციონალისტური შეგნების განუხრელი გამომუშავება და ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების დაახლოების მტკიცე კურსი.

სწორედ საბჭოთა კავშირის შექმნის წლებში დაწერა ვ. ი. ლენინმა სიტყვები, რომლებიც მკაფიოდ გამოხატავს ეროვნულ საკითხზე მისი განსჯის მიმდინარეობას. აი ეს სიტყვები: „ხუთი წლის განმავლობაში ჩვენი გამოცდილება ნაციონალური საკითხის გადაჭრისა ისეთ სახელმწიფოში, რომელიც ისე მრავალ ეროვნებას შეიცავს, რამდენიც არა მგონია სხვა ქვეყნებში მოიპოვებოდეს, სავსებით გვარწმუნებს იმაში, რომ ასეთ შემთხვევაში ერთადერთი სწორი დამოკიდებულება ერთა ინტერესებისადმი იქნება მათი მაქსიმალური დაკმაყოფილება და ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც გამორიცხავენ კონფლიქტების ყოველგვარ შესაძლებლობას ამ ნიადაგზე. ჩვენმა გამოცდილებამ, — განაგრძობს ლენინი, — შექმნა ჩვენში ურყევი რწმენა, რომ მხოლოდ უდიდესი ყურადღების გამოჩენა სხვადასხვა ერის ინტერესებისადმი სპობს ნიადაგს კონფლიქტებისათვის, სპობს ურთიერთუნდობლობას, სპობს ყოველგვარი ინტრიგების შიშს, ქმნის იმ ნდობას, განსაკუთრებით სხვადასხვა ენაზე მო-

(გაგრძელება მე-2-3 გვერდებზე)



⊙

მოსკოვი, 1982 წლის 21 დეკემბერი. კრემლის ყრილობათა სასახლე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

საქართველოს სს რესპუბლიკის წარმომადგენლები სხდომის დარბაზში.

საქდეს-საქინფორმის ფოტო.

⊙

# კომუნიზმის მშენებელთა ძმური კავშირი

●

## სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა კრემლის ყრილობათა სასახლეში

●

მოსკოვში, კრემლის ყრილობათა სასახლეში, 1982 წლის 22 დეკემბერს გაგრძელდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

საზეიმო სხდომის მონაწილენი და მრავალრიცხოვანი სტუმრები მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ი. ვ. ანდროპოვს, ჰ. ა. ალიევს, მ. ს. გორბაჩოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, დ. ა. კუნაევს, ა. ი. პელშეს, გ. ვ. რომანოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, კ. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ი. დოლგიხს, ტ. ი. კისელიოვს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, შ. რ. რაშიდოვს, მ. ს. სოლომენცევს, ე. ა. შევარდნაძეს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. ვ. კაპიტონოვს, ნ. ი. რიჟკოვს, კ. ვ. რუსაკოვს.

შემდეგ საზეიმო სხდომაზე გაგრძელდა გამოსვლები და მისალმებები.

საზეიმო სხდომის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დელეგაციას.

გაისმის მარშის ხმები და დიდებით მოსილი საბრძოლო დროშებით შემოდიან დარბაზში ყველა სახეობის ჯარების წარმომადგენლები, სამშობლოს მამაცი დამცველები, რომლებიც ფხიზლად იცავენ საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით, ერთხმად მიიღეს მიმართვა „მსოფლიოს პარლამენტებისადმი, მთავრობებისადმი, პოლიტიკური პარტიებისა და ხალხებისადმი".

ამით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა დახურულად ცხადდება. ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნის დიდებული მელოდია.

